ცნობის ფურცელი

№ 1728 ყოველ-დღიური გამოცემა **1896—1902** შაბათი, 16 თებერვალი № 1728

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათზე.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“.** ტელეფონი **№ 372.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხვალ, 17 თებერვალს, **„ცნობის ფურცლის“** **დამატებაში** (**რვა გვერდია**) მოთავსებული იქნება სურათები **შემახიის სხვა-და-სხვა ადგილებისა** მიწის ძვრის შემდეგ.

გაზეთის ნომერი დამატებით ეღირება **10** კაპ.

შემოსავლის ნახევარი გადაეცემა მიწის ძვრისაგან დაზარალებულთ.

კვირას, 17 თებერვალს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში გარდახდილ იქნება **წირვა და პანაშვიდი** ერთის წლის წინად გარდაცვალებულის ქართველ მგოსნის

რაფიელ ერისთავის

სულის მოსახსენებლად. (რ. 2—1)

დავით თასეს ძე დუმაძე, ალექსანდრე სოლომონის ძე ბურდულოვი, ქეთევან ასათიანისა, მაგდალინა გიორგაძისა და ზაქარია და მარიამ ფურაქოვები გულითადის მწუხარებით აუწყებენ მეგობართა და ნათესავთ გარდაცვალებას პირველის ძვირფასის მეუღლისას, მეორენი საყვარელის დისას და მესამენი დეიდისა

ქეთევან სოლომონის ასულის დუმბაძისას

და სთხოვენ პატივისცემ და მობრძანდნენ შაბათს, 16 თებერვალს, დილის 9 საათზე გასვენებაზე, კალოუბნის ეკკლესიაში საკუთარ სახლიდან. ვერის დაღმართი № 7.

ქართული თეატრი

შაბათს, 16 თებერვალს, 1902 წ.

ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

ნ. გ. ქათველიშვილის ლოტბარობით

პირველად ქართულ სცენაზე

მეორე მოქმედება რუბინშტეინის ოპერიდან

დემონი

თარგმანი ი. კარგარეთლისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ბ.ბ. ი. კარგარეთელი, მ. ნათაძე. ორკესტრის შესდგება 20-სა და ხორო 30-ს კაცისაგან.

II

ხოჯი ჭირი მარგებელია

ხუმრობა 3 მოქ. ვ. გუნიასი

მონაწილეობენ: ქ.ქ. ტასო აბაშიძე, ჩერქეზიშვილი, კარგარეთელი, ლეჟავა. ბ.ბ. აბაშიძე, გუნია, სვიმონიძე, შათირიშვილი, ურუშაძე, იმედაშვილი და სხვ.

დასაწყისი 8 საათზე. ფასები ჩვეულებრივია.

მზადდება „ძალა აღმართსა ხნავს“, „ორი ჯმირი“, „დანდი“. რეჟისორი **ვ. გუნია.**

ე ქ ი მ ი

ალექსანდრე გიორგის ძე

მალალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და სალამოთი 4—5-მდე. მიიღებს აგრეთვე საექიმო: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თუმაევის სახლი.

ე ქ ი მ ი

ვახტანგ ღამბაშიძე

შინაგანის და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს იღებს დილის 9—11-მდე და სალამოს 5—7 საათამდე. რეუტის ქუჩა № 24

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ გადასწყვიტა, ქართულის სცენის არტისტის **ვ. ა. აბაშიძის 25 წლის სასცენო მოღვაწეობა** იდღესასწაულოს ამ წლის 10 **მარტს.** გამგეობა, აცხადებს რა ამას საყოველთაოდ, სთხოვს იმათ, ვისაც ჰსურთ მონაწილეობა მიიღონ ამ დღესასწაულში, მიჰმართონ ხსენებულ გამგეობას და წინდაწინვე აცნობონ თავიანთი სურვილი.

თავად-აზნაურთა ქარვასლა, დრამატიულ საზოგადოების კანტორა. (3—2)

ქ. ბ ა თ უ მ შ ი

იყიდება გაზეთი **„ცნობის ფურცელი“**

სპ. ჰელიძის წიგნის მაღაზიაში, შერემეტიევის ქუჩაზე, ნურიის ბაზარში, სასწორის პირდაპირ. (0—12)

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე. ხუთშაბათს და შაბათს გარდა.

ე. გ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშო 9—10 საათამდე.

ა. გ. მალალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირის 10—11 საათამდე.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვების 11—12 საათამდე.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

ვ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

სტ. ალ. ვოინო—ხირურგია, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით. 1—2 საათამდე.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. გ. მალალაშვილი—შინაგანი და ბავშვების 5—6 საათამდე.

გ. ს. დავიდოვი—შინაგანი და ბავშვების 7—8 საათამდე.

ა. მალალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ). **ტელეფონი №** 274. (წლ.)

ა ხ ა ლ ი წ ი გ ნ ი

საქართველოს წმიდანები

შედგენილი სასულიერო სკოლებისთვის გ. იოსელიანის-მიერ

მოწონებულია საქართველოს საეპარქიო სასწავლებლის რჩევისაგან.

იყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კანცელარიაში. (10—7)

ქალთა ამხანაგობის სამკერვალოში მიიღებენ ყოველ გვარ

საკერავს:

კაბებს, წამოსასხამებს საცვლებს და სა-[illegible] ნიშნებს, (მეტკებს).

ბარონის ქუჩა, № 12 (10—10)

იმერეთის თავად-აზნაურთა დეპუტაცია პეტერბურგში

„პრავიტ. ვესტნიკ.“-ში დაბეჭდილია:

პარასკევს, 8 თებერვალს, საზამთრო სასახლეში მათ იმპერატორებით უდიდებულესობათ წარუდგა ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა დეპუტაცია ხელმწიფე იმპერატორისათვის უქვეშევრდომილესის მადლობის გამოსაცხადებლად. დეპუტაციას შეადგენდნენ: ქუთ. გუბ. თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელი ქუთ. მაზრის თავად-აზნ. წინამძღოლი მილიციის პრაპორშჩიკი თავ. დ. ო. ნიჟარაძე, ოზურგეთის მაზრის თავად-აზნ. წინამძღოლი მილიციის პრაპორშჩიკი თავ. კ. დ. ერისთავი, კამერგერი დ. ს. ს. თავ. ს. გ. წერეთელი, საპატიო მომრიგებელი მოსამართლე ს. ბ. თოფურია, თავ. ს. ი. ერისთავი, თავ. ნ. ვ. წერეთელი და არტილერიის პოლკოვნიკი გ. პ. ქორქაშვილი.

ნაშუადღევის $2^1/_2$ საათზე ხელმწიფე იმპერატორი და დედოფალი ალექსანდრა თეოდორეს ასული გამობრძანდნენ მალახიტის სასტუმრო დარბაზში, სადაც მათ დეპუტაციის წევრები სათითაოდ წარუდგინა შინაგან საქმეთა მინისტრმა დ. ს. სიპიაგინმა. შემდეგ, ხელმწიფე იმპერატორის ნებართვით, თავ. დ. ო. ნიჟარაძემ წაიკითხა შემდეგი ადრესი:

„თქვენო იმპერატორებითი უდიდებულესობავ ყოვლად-უმოწყალესო ხელმწიფევ!

საქართველოს რუსეთთან შეერთებიდან ასის წლის შესრულების დღესასწაულ დღეს თქვენმა უდიდებულესობამ კეთილ-ინება და სხვათა მოწყალებათა შორის უბოძა ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიების თავად-აზნაურობას შემწეობა ქართველ თავად-აზნაურთა მოზარდ თაობის აღსაზრდელადა და გასანათლებლად.

ამ დიდ-მნიშვნელოვან აქტში ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობა სიხარულითა და იმედით ჰხედავს თქვენის იმპერატორებითი უდიდებულესობის უმაღლესს ყურადღებას ქართველ ერის სულიერ მოთხოვნილებათადმი და დაუფასებელს ნიშანს იმისას, რომ თქვენი უდიდებულესობა ერთგული ბრძანდებით თქვენის სახელოვანის წინაპრის ნეტარხსენებულის იმპერატორის ალექსანდრე კურთხეულის დიდებულის აღთქმისა.

ასის წლის წინად მრავალ-ტანჯული საქართველო, მაჰმადიან აღმოსავლეთთან მუდმივის ბრძოლისაგან დაქანცული, თავის ნებით შეუერთდა ძლევა-მოსილს ერთ-მორწმუნე რუსეთის იმპერიას დასაცველად თავისის ეროვნებისა, რომელსაც მრავალ საუკუნეთა განმავლობაში იარაღით ხელში იფარავდა ქრისტიანობის მტერთაგან; დასაცველად სამშობლო ენისა, რომელზედაც მას უკვე მეოთხე საუკუნეში ესმოდა წმ. სახარება და საქრისტიანო ქადაგება და აგრეთვე დასაცველად მართლ-მადიდებელ სარწმუნოებისა, რომელიც ქართველ ერის ზნეობრივს ძალას შეადგენდა.

ნეტარხსენებულმა იმპერატორმა ალექსანდრე კურთხეულმა ისმინა ხალხისა და საქართველოს მეფეთა საერთო სურვილი და ტვირთად იდო საქართველოს სამეფოთა მმართველობა „არა მოსამატებლად ძალთა, არა ანგარებისათვის, არა გასაფართოვებლად ისედაც უდიდესის რუსეთის იპერიისა, არამედ და მხოლოდ ქართველ ერის საკეთილდღეოდ“.

მას შემდეგ საქართველო, რუსეთის დიდებულ იმპერიის ძლევა-მოსილის ფარით უზრუნველ-ყოფილი, მიეცა მშვიდობიან მუშაობას, დაადგა სულიერ და ნივთიერ განვითარების გზას და თანდა-თან რუსეთის მოქალაქობრივ ცხოვრების მონაწილედ ხდებოდა.

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობას, გამსჭვალულს ულრმესის მადლობის გრძნობით, რომ წმინდა ისტორიული მემკვიდრეობა, რომელიც ქართველ მეფეთ გადასცეს რუსეთის ძლევა-მოსილ გვირგვინოსანთ, წმინდათ არის დაცული,—ისე არაფერი ჰსურს, როგორც სრული გაერთიანება სამშობლო მხარისა რუსეთის იმპერიასთან საერთო კანონებისა და საერთო დაწესებულებათა მეოხებით.

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობა, რომელიც მუდამ მზად არის მიიღოს ტვირთი საერთო სამოქალაქო მოვალეობათა, თავის თავს კიდევ უფრო ბედნიერად აღიარებს მაშინ, როდესაც თქვენი უდიდებულესობა კეთილ ინებებს და ღირსად იცნობს მას ყველა იმ დიდებულ კეთილ-საქმეთა და დაწესებულებათა, რომელნიც მინიჭებული აქვთ რუსეთის შიდა გუბერნიებს.

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობა, მარად ერთგული ტახტისა, ჰმაყობს თქვენის უმაღლესის ყურადღებით და მოგიძღვნის უქვეშევრდომილესსა და ღრმა მადლობას ნაბოძებ მოწყალებათათვის“.

ამის პასუხად ხელმწიფე იმპერატორმა მიჰმართა დეპუტაციას მოწყალე სიტყვებით, რომელნიც უკვე დაბეჭდილი იყო „ცნობის ფურცელში“.

საზღვარ-გარედ

ინგლისი. ლიბერალური ფედერაციის უმთავრესმა კომიტეტმა 6 თებერვალს ლეისტერში კრება მოახდინა. კრებამ მკაცრად დაჰგმო მთავრობის პოლიტიკა: ბურებს ულაპარაკოდ, უპირობოდ დამორჩილებას არ უნდა სთხოვდესო; ბურებთან უსათუოდ ფორმალურად უნდა შეჰკრათ ზავიო; თორემ უამისოდ სამხრეთ-აფრიკაში მშვიდობიანობა და უშიშრობა არას დროს არ დამყარდებაო. ამის შემდეგ კრებამ სიხარული გამოაცხადა იმის თაობაზე, რომ ლორდ როზბერი სწორედ ამ თვალით უყურებს საქმესაო: როზბერიმ მკაფიოდ სთქვა, რომ ბურებს უპირობოდ დამორჩილებას ვერა ვსთხოვთო და უსათუოდ ზავზე მოლაპარაკება უნდა გავმართოთ ბურების მთავრობასთანაო. დასასრულ კრებამ სთხოვა ყველა ლიბერალ დეპუტატებს პალატაში კემპბელ-ბანერმანს დაუჭირეთ მხარი და ეცადენით, რომ ლიბერალური დასის პოლიტიკა ასრულდესო.

საღამოთი კომიტეტმა ნადიმი გამართა. ნადიმის დროს ოპოზიციის წინამძღოლმა კემპბელ-ბანერმანმა ილაპარაკა.

მოხუცებულმა წინამძღოლმა სთქვა: ეხლანდელი მთავრობის იმპერიალიზმი ჭკუაში არ მომდისო. პარლამენტის წესდების ცვლილებაც არ მოიწონა. ორატორმა სინანული გამოაცხადა იმის თაობაზე, რომ გარეშე საქმეთა მინისტრმა ჰოლანდიის მთავრობის ნოტით არ ისარგებლა და ბურებთან სავსე მოლაპარაკება არ გამართაო. წინამძღოლი ამტკიცებდა, რომ ომი სამხრეთ-აფრიკაში მთავრობის წყალობით ჭიანურდებაო. ორატორმა ლორდ როზბერის პროგრამაზედაც ილაპარაკა. კემპბელ-ბანერმანმა სთქვა.

„პირდაპირ და მოურიდებლივ გაცხადებ, რომ ლორდ როზბერის პოლიტიკის წინააღმდეგი ვარ. ლიბერალიზმის პრინციპებს, იდეალებს და აზრებს—ერთსაც ვერ ამოვშლი ჩემი პროგრამიდან, ერთსაც არ ვუღალატებ. სრულობით არ ვეთანხმები პატივცემულს ლორდს, ვითომ ჩვენი პროგრამა დაძველებულიყოს და დახავსებულიყოს. ლორდ როზბერი თავდაპირველად იმას გვირჩევს, რომ ირლანდიის ჰომრული ამოვშალოთ პროგრამიდან. ამაში ვერას გზით ვერ დავეთანხმები პატივცემულს მრჩეველს. ირლანდიის ერი ჰომრულს ნდომობს, ავტონომია აქვს კანადას, აქვს აგრეთვე ავსტრალიას. ჩვენი იმპერიის დიდებაც სწორედ ამ ავტონიაზე და ამ თავისუფალ წესებზეა დამყარებული. და თუ ლიბერალურმა დასმა თავის პრინციპებს არ უღალატა, რანაირად-და უნდა უთხრას უარი ირლანდიას [illegible] გითხრათ, სრულობით ვერ გამიგია“.

✡ ლივერპულში რომ ილაპარაკა, ამის შემდეგ სწორედ მეორე დღეს ლორდ როზბერი

რეფორმის კლუბში მიუწვევია სადილად. თავმჯდომარედ ლიბერალი დეპუტატი ჯოზეფ ვოლტონი ყოფილა. სადილად ყველა ნაირი ლიბერალები იყვნენ მიწვეულები, სხვათა შორის, იყვნენ რადიკალი ბრაისი და ლორდ სპენსერი. ეს შინაურული სადილი იყო, ამიტომ გაზეთების წარმომადგენლები არ დასწრებიან. ლიბერალურ გაზეთებს მაინც გაუგიათ, რომ ლორდ როზბერიმ ამ სადილის დროს უფრო წყნარ კილოზე ილაპარაკა. „დეილი ნიუს“-ი სწერს:

„ლორდ როზბერი ამტკიცებდა, საჭიროა, რომ ლიბერალურ დასს ერთი პირი და თანხმობა ჰქონდესო. ორატორმა სთქვა: ლიბერალური დასის ახლანდელ წინამძღოლებს მეც პატივსა ვცემ და ერთგულად ვუჭერ მხარსაო. სულ ტყუილად მიგონებენ, ვითომ იმათი ადგილის დაჭერა მედოს გუნებაშიო. „დასის წინამძღოლი ხომ არა ვარ. მარტო დასის დამრიგებელი ვარო“. ჯოზეფ ვოლტონმა უპასუხა, უიმისობა არ იქნება, რომ დასში სხვა-და-სხვა აზრის მიმდევრები არ ერივნენ, და დასის ჯგუფები სხვა-და-სხვა ნაირად არ მოქმედებდნენო. ლორდ როზბერიმ უთხრა: ეგ ძალიან სამწუხარო ამბავიაო. მერე გაკვრით სთქვა: როცა ლიბერალური დასის წინამძღოლად ვიყავი, ძლიერ ვწუხდებოდი, რომ დასის პატარა ჯგუფები თავიანთ ნებაზე მოქმედებას ნდომობდნენო. ერთის სიტყვით, როზბერის ნალაპარაკევი ძლიერ მოეწონა ყველა დამსწრეს“.

დასასრულ როზბერის ლორდ სპენსერის სადღეგრძელო დაულევია. სპენსერი ლორდთა პალატაში ლიბერალების წინამძღოლადაა დროებით არჩეული.

☼ გეხსომებათ, რომ სამხედრო მინისტრი დაჰპირდა პალატას, რაც ცხენების ყიდვის საქმეში ურიგობა მომხდარა, ყველაფერს დაწვრილებით გამოვიძიებ და პალატას მოვახსენებო. ცხენების გარდა, სამხრეთ-აფრიკის ჯარისათვის ბევრ ხორცსაც ყიდულობდნენ. ხორცის ყიდვაც მეტად საძაგლად ყოფილა მოწყობილი: ყველა ამ ამბებმა მთელი ინგლისი ააშფოთა და ფეხზე დააყენა. დეპუტატები და ხალხი მთავრობის გამოძიებას არა სჯერდებიან და სთხოვენ მთავრობას, მაგ საქმის გამოძიება პარლამენტის კომისიას მიანდეო. ამბობენ, მთავრობაც შეშინდა და ეხლა თითონაც აპირობს, რომ ამ საქმის გამოძიება პარლამენტის კომისიას მიანდოსო.

ესპანია. ბარცელონაში 80,000 კაცია გაფიცული. ესეთი გაფიცვა ევროპაშიაც კი დიდ გაფიცვად ითვლება. ამიტომ გაზეთები დიდ ყურადღებას აქცევენ ბარცელონის ამბებს. ესპანიური გაზ. „იმპარციალ“-ი სწერს:

„მუშების მეთაურებმა ხალხი ორიოდე დღის განმავლობაში დაამზადეს და ყველას ერთ დღეს მუშაობაზე ხელი აღებინეს. დილით ადრე გაზეთების დამტარებლებს მთელი ქალაქი მოევლოთ და ერთი რაღაცა სიტყვა ეყვირნათ ყველგან. ეს სიტყვა საყოველთაო გაფიცვის ნიშანი იყო. ხალხსა და მეთაურებს წინადვე პირობა შეეკრათ, როცა ამა და ამ სიტყვას დაიძახებენ ქუჩაში, ყველამ მუშაობას თავი დაანებეთო. გაიგო თუ არა მუშა ხალხმა, მაშინვე ყველამ, როგორც ერთმა კაცმა, მუშაობაზე ხელი აიღო. გაფიცვის წინა დღეებში მუშების მეთაურებს ამნაირი პროკლამაციაც გამოეცათ“.

„ყველიერი და მხიარულობა გათავდა! (ევროპაში ყველიერი 13 დღით წინ მოდის ჩვენსაზე). ყველიერში მდიდარი ხალხი მორთულობაზე, ბალებზე ჰფლანგავდა ფულებს და რესტორანებში ნადიმობდა და ქეიფობდა. მუშა ხალხი კი ულუკმა-პუროდ იყო და მშიერს ამოსდიოდა სული. ეხლა ყველასათვის დიდ-მარხვა დადგა. მაგრამ ჩვენთვის სულ მუდამ დიდ-მარხვაა, მდიდარი ხალხისათვის კი დიდ-მარხვაც ქეიფის დროა. ამაზე მეტი მოთმინება აღარ შეგვიძლიან. დროა გულქვავ ბურჟუაზიას (მდიდარ ხალხს) პასუხი გავცეთ და ჭკვა გასწავლოთ. ყოჩაღად მოიქეცით, ამხანაგებო. მუშაობაზე ხელი ავიღოთ: დეე, ყველა ჩვენსავით შეწუხდეს და ეწამოს. სისხლის მწოველი კაპიტალისტები მარტოდ-მარტო დავტოვოთ: ყველანი დავემშიოთ, დეე ყველა უსაჭმლოთ, უსასმლოდ, სიბნელეში იყოს... მაშინ ჩვენი მტრები უსათუოდ დაგვმორჩილდებიან. დაუმტკიცოთ კაპიტალისტებს, რომ უმუშა ხალხოთ ცხოვრება არ შეუძლიანთ“.

ბარცელონაში ერთი დიდი ხე-ტყის საწყობი იწვის. აუარებელი ზარალი მოუვა ხე-ტყის პატრონს. ჰფიქრობენ, რომ ამ საწყობს მუშები წაუკიდებდნენ ცეცხლსაო. მთავარ-მართებელმა გადასწყვიტა: ასე იქნება, თუ ისე, წესიერება კი უსათუოდ უნდა აღვადგინოთ. ამიტომ ყველა სამეტალურგიო ქარხნების პატრონები დაიბარა და ურჩია: 9 საათის სამუშაო დღე მაინც დააწესეთო“.

☼ ფრანგ. გაზ. „ტან“-ს სწერენ მადრიდიდან: ბარცელონაში წელს ძლიერ გაძვირდა ყველაფერი და მუშა ხალხს ცხოვრება ძლიერ გაუჭირდა. მუშები დიდი ხანია ცდილობდნენ, რომ ქარხნის პატრონებს ქირა მოემატებინათ და სამუშაო დღე შეემცირებინათ; მაგრამ კაპიტალისტებს ვერა შეასმინეს რა. ხალხიც მოთმინებიდან გამოვიდა და საყოველთაო გაფიცვა მოახდინა. ამბობენ, რომ მუშებმა მომეტებულ ნაწილად სხვაგნებური სოციალისტების, ანარქისტებისა და აგრეთვე ესპანიელი რევოლიუციონერების დარიგებით მოახდინეს ეს გაფიცვაცა და არეულობაცაო.

☼ „ბერლ. ტაგებლ“. სწერენ მადრიდიდან: „ბარცელონაში დღესაც გაფიცვაა. ახალმა პოლიციის უფროსმა მაინც მოახერხა და კაპიტალისტების და მუშების დელეგატები ერთად შეჰყარა მოსალაპარაკებლად. დელეგატებმა ასე გადაწყვიტეს: მუშებმა ეხლა მუშაობა უნდა დაიწყონ და ისევ იმ პირობით იმუშავონ, როგორც გაფიცვამდე მუშაობდნენო. ამავე დროს სამედიატორო სასამართლო უნდა დაინიშნოს მუშების თხოვნის გასარჩევადაო“.

მთელ ქალაქში აღებ-მიცემობა მაინც დღემდე დაყენებულია, ყველა მაღაზიები დაკეტილია, თეატრებიც დახურულია. გაზეთები დღესაც არ გამოდის. ხალხს ჯართან ისევ შეტაკება მოსდის; ორიოდე კაცი კიდევ მოჰკლეს და დასჭრეს.

☼ მთავრობამ დეპუტატთა პალატაში მოითხოვა, რომ ბარცელონაში დროებით კონსტიტუციის წესები გავაუქმოთო. ბარცელონის დეპუტატმა რესპუბლიკელმა ლერუმ მთავრობის წინააღმდეგ ილაპარაკა. ლერუმ სთქვა: „ბარცელონაში ქარხნის პატრონები და მუშები იბრძვიან. რაც ეხლა ბარცელონაში ამბები ხდება, ამისი ბრალი წინანდელ სამინისტროებსაც ედებათ; იმიტომ, რომ ისინიც მუშებისათვის თავს არ იწუხებდნენ. თუნდაც რომ კონსტიტუციის წესები გააუქმოთ, მაინც ვერას გაჰხდებით, მაინც მუშებს ვერ დაამშვიდებთო“.

ლერუს შინაგან საქმეთა მინისტრმა უპასუხა. რაც-კი შეიძლებოდა, მთავრობა ყველანაირად ეცადა, რომ ქარხნის პატრონებსა და მუშებს შუა ბრძოლა არ ატეხილიყო. ბრძოლა მაინც დაიწყო და ეხლა მთავრობა მოვალეა წესიერება აღადგინოს, შრომის თავისუფლება დაიცვას და ძალ-მომრეობის ნება არავის მისცესო. ლერუმ შენიშნა: შინაგან საქმეთა მინისტრს ღმერთი როდი უწყენდა, რომ თითონ გარჯილიყო და ბარცელონაში წაბძანებულიყო და მუშები და ქარხნის პატრონები მოერიგებინაო.

რესპუბლიკელმა დეპუტატმა აზკარატმაც კონსტიტუციის გაუქმების წინააღმდეგ ილაპარაკა. დეპუტატმა სთქვა:

„მუშებს სრული უფლება აქვთ, გაფიცვა მოახდინონ. პალატას აქნობამდე ერთი კანონიც არ გამოუცია მუშების სასარგებლოდ. ერთად ერთი კანონი გამოსცა, რომ კვირაობით მუშები თავისუფლები იყვნენო, მაგრამ ესეც ჩასათვლელი არ არის, რადგანაც ეს კანონი ეპისკოპოსების რჩევით და სურვილითაა გამოცემული. მთავრობის მოხელეებს პროვინციაში ნამცეცს პატივსაც აღარავინ სცემს. პოლიციის უფროსები საროსკიპო სახლებს და როსკიპ ქალებს თავიანთ სასარგებლოდ ხარჯს ახდევინებენო. ვიღა იქნება ისეთი გიჟი, რომ ამისთანა მოხელეებს პატივი სცესო. რესპუბლიკელები წინააღმდეგები არიან, რომ კონსტიტუციის წესები გაუქმდესო“.

დეპუტატმა მორომ სთქვა: დავა მუშებსა და ქარხნის პატრონებს შუა მთავრობამ უნდა გაარჩიოს, მაგრამ განა „ჩვენი მთავრობა—მთავრობააო?“.

ბოლოს დეპუტატთა პალატამაც და სენატმაც მთავრობის კანონ-პროექტი დაამტკიცეს და ბარცელონაში კონსტიტუციის წესები დროებით გააუქმეს.

ახალი ამბავი

◆ რუსეთიდან მოსულის ამბებით, ამზაფხულს შავიზღვის ნაპირების დასათვალიერებლად **მოდიან** მინისტრები: ფინანსთა ს. ი. ვიტტე, მიწად-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა ა. ს. ერმოლოვი და იუსტიციისა ნ. ვ. მურავიოვი.

◆ პარიზიდან გვატყობინებენ, რომ ფრანგი მოგზაური და ცნობილი არქეოლოგი **ბარონ დე-ბაი** პარიზში ამ მოკლე ხანში წაიკითხავს თავისს მოხსენებას დასავლეთ-საქართველოში მოგზაურობის შესახებ.

◆ ტფილისის ქალაქის თავის მოადგილემ 14 თებერვლის სხდომაზე ქალაქის გამგეობას განსახილველად წარუდგინა ტფილისის მოქალაქის ვ. ვ. თამამშევის განცხადება, რომელმაც ამას წინად 10,000 მან. შესწირა ტფ. თვითმართველობას, რათა ამ ფულით **პეტერბურგის უნივერსიტეტში** დაარსდეს გიორგი მიხეილისძის თამამშევის სახელობის სტიპენდიები. გამგეობამ გარდასწყვიტა დიდის მადლობით მიღებულ იქმნას თამამშევის შეწირულება, რომელიც უნდა ინახებოდეს სარგებლიან ქაღალდებით აღნიშნულ მიზნისათვის; გამგეობამ დაადგინა აგრეთვე დაავალოს ტფილისის სასწავლებელთა გამგე-კომისიას შეიმუშაოს პროექტი პეტერბურგის უნივერსიტეტში სტიპენდიების დასაარსებლად და შემდეგ იგი გამგეობას წარუდგინოს.

◆ როგორც თავის დროზე გვქონდა აღნიშნული, 1-ლ მარტს პეტერბურგში გაიხსნება სრულიად რუსეთის საოჯახო მრეწველობის **გამოფენა**. გამოფენაზე ექსპონატების გასაგზავნად კავკასიიდან განსაკუთრებული კომიტეტი იყო შემდგარი აგრონომის ბ-ნ ფირალოვის მეთაურობით. კომიტეტმა ამ დღეებში უკვე დიდძალი, კავკასიის სხვა-და-სხვა კუთხეებში მოკრებილი, ექსპონატები გაგზავნა ტფილისიდან და გასაგზავნად ამზადებენ კიდევ მრავალს. მოვიყვანთ მოკლე ცნობებს გაგზავნილ ექსპონატების შესახებ: ხისაგან გაკეთებული სხვა-და-სხვა ნივთი გაიგზავნა სულ 291 მანათისა; ლითონისაგან დამზადებული ნივთები სულ 1746 მან. 89 კაპ.; ტყავისაგან ნაკეთები 344 მ.; ხალიჩები, აბრეშუმეულობა, შალები, ქსოვილები, მატყლის ნაწარმოებნი, ჭურჭლეულობა და საოჯახო მრეწველობის სხვა ნაწარმოებნი სულ 13,000 მანეთისა. ერთი ვაგონი ექსპონატებით სავსე პეტერბურგში უკვე გაიგზავნა.

სამწუხაროდ, არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ, რომ ტფილისისა და განსაკუთრებით ქუთაისის გუბერნიებში, როგორც გვითხრეს, ნაკლებად შეუკრებიათ გამოფენაზე გასაგზავნად საოჯახო მრეწველობის ნაწარმოებნი.

◆ ზემოხსენებულ გამოფენის მომწყობელ კომიტეტის კავკასიის განყოფილების თავმჯდომარე ბ. **ფირალოვი** 20 თებერვალს აპირებს პეტერბურგს წასვლას გამოფენის გახსნაზე დასასწრებლად.

◆ ჩვენ გვატყობინებენ, რომ ზემელის აფთიაქში ყველა მოსამსახურეებს **დაუნებებიათ სამსახურისთვის თავი**. მიზეზს სხვა-და-სხვას ასახელებენ.

◆ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა, ტფილისის გუბერნატორთან შეთანხმებით, **დაამტკიცა** ქიმიის ლექციების პროგრამა საზოგადო განათლების კურსებისათვის. ლექციებს, როგორც წინად, წაიკითხავს ქალაქის ქიმიური ლაბორატორიის გამგე ბ. ალიბეგოვი ყოველ კვირა პარასკებობით. ამ უკანასკნელს დროს ფიზიოლოგიის ლექციების კითხვა საზოგადო განათლების კურსებზე შეაჩერეს. აქამომდე ფიზიკიდან ლექციების კითხვა არ დაუწყიათ.

◆ ტფილისის გუბერნატორმა წარუდგინა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს ქალაქის საბჭოსაგან შემუშავებული ინსტრუქცია ქალაქის **სასწავლებელთა კომისიისა** და სთხოვა თავისი დასკვნა აცნობოს ამ ინსტრუქციის შესახებ.

◆ კავკასიის მთავარ-მართებელმა თა. გ. ს. გოლიცინმა დაამტკიცა სოფელ **ვაჩნაძიანის** (თელავის მაზრა) ქსენონის წესდება. ამ ქსენონმა საექიმო დახმარება უნდა აღმოუჩინოს ყურიათუბანის, შაშიანის, ჩალაურის, ვაჩნაძიანის, აკურის და ვანტა-შუმატის სოფლების მცხოვრებთ. ქსენონის შენახვა წელიწადში დაჯდება არა ნაკლებ 2320 მან., რომელიც უნდა გამოიღოს ზემოხსენებულ სოფლის საზოგადოებებმა; გარდა ამისა სოფლის საზოგადოებანი გადაიხდიან 400 მან. ქსენონის და აფთიაქის თავდაპირველად მოსაწყობად.

◆ ქალაქის გამგეობაში წარდგენილ პროექტებს ციციანთ აღმართის **გამაგრების შესახებ** განიხილავს განსაკუთრებული კომისია, რომელსაც შეადგენენ წარმომადგენელნი: კავკასიის გზათა ოლქის სამმართველოსი, კავკასიის სამთო სამმართველოსი, ტფილისის გუბერნიის საალმშენებლო განყოფილებისა, რუსეთის ტეხნიური საზოგადოების კავკასიის განყოფილებისა, ერევნის რკინის გზის საალმშენებლო სამმართველოსი, ტფილისის ქალაქის გამგეობის საალმშენებლო განყოფილებისა და ციციანთ კლდის შემაგრების კომისიისა. ამ კომისიის სხდომა დანიშნულია 20 თებერვალს, რათა განიხილონ წარმოდგენილი პროექტები და ღირსეულს ჯილდო მიუსაჯონ.

◆ თანახმად ქალაქის დადგენილებისა, ქალაქის თავის მოადგილე იუწყება, რომ **ხორცის სიძვირის** გამოკვლევამ აღმოაჩინა შემდეგი: გარდა იმისა, რომ საქონელი გაძვირდა და გზებიც შეიკრა ყინვების გამო, რის გამოც ჩრდილოეთ კავკასიიდან საქონელს აღარ მოერეკებიან, ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი ხორცის გაძვირებისა ის არის, რომ ალექსანდროპოლიდან და ყარსის ოლქიდან აკრძალულია საქონლის მორეკა, თუ არ რკინის გზით გადმოყვანა, და აგრეთვე აკრძალულია დროებით საქონლის მორეკა ბორჩალოს მაზრიდანაც, რადგანაც იქ საქონლის ჭირია ამ ჟამადაო. რადგანაც ხორცის სიძვირე ძალიან საგრძნობელია ქალაქის მცხოვრებთათვის, ამიტომ ქალაქის თავის მოადგილე შუამდგომლობს გუბერნატორის წინაშე, რომ ნება დართოს საქონლის მორეკა ალექსანდროპოლის მაზრიდან და ყარსიდან წინანდებურად იმ დრომდის მაინც, ვიდრე გათბება და საქონელი ბლომად შემოვა ქალაქში.

◆ გუშინ ჩრდილოეთ კავკასიიდან ქალაქის ბაზრებში **ჩამორეკეს** ასი სული საქონელი და ალექსანდროპოლიდან რკინის გზით ჩამოიყვანეს 50 სული. საქონელი დაკლეს და სულ დაიტაცეს, უცბად გასაღდა. ამასთან ყურადღება მიაქციეს ერთ საინტერესო მოვლენას: ჩრდილოეთ კავკასიიდან მორეკილი საქონელი ბევრად სხვილი დ̃ მოზრდილია, ვიდრე ალექსანდროპოლიდან მოყვანილი, და კავკასიიდან მორეკილი უფრო იაფად გაიყიდა ალექსანდროპოლის საქონელზე.

◆ საგუბერნიო სამმართველომ წარუგზავნა ქალაქის გამგეობას ქალაქის საქმეთა საგუბერნიო საკრებულოს დადგენილება, რომლითაც **გაუქმებულია** 10 წარსულ დეკემბრის ქალაქის საბჭოსაგან დადგენილი წესი ქალაქის დამფასებლის გარდასახადისა. საკრებულომ საჭიროდ დაინახა, რომ ეს გარდასახადი ერთმეოდეთ, თანხმად საქალაქო დადგენილებისა, წმინდა შემოსავლის მიხედვით ქონებისგან.

◆ კავკავის გზაზე ეტლების მიმოსვლის მოიჯარადრეს ქ-ნ იბრაჰიმბეკოვისას აღუძრავს შუამდგომლობა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, მიეცეს მას ნება **ტფილისსა** და კავკავს შუა ამუშაოს ავტომობილები (თვითმავალი ეტლები), რომლებიც გადიყვანენ მგზავრებს და იმათ ბარგს. ავტომობილი საათში 30 ვერსტს გაივლისო.

◆ მომავალს აპრილში ცნობილი ბაქოელი მილიონერი **ა. ტაგიევი** ბაქოში გახსნის საკუთარს საბანკო სახლს, რომელსაც ძირითადი თანხა ექნება ხუთ მილიონ მანეთზე მეტი.

◆ ქალაქის საბებიო ინსტიტუტში **ალაგი აღარ არის მშობიარეთათვის**, თუმცა ეს სადგომი გააფართოვეს 35 მშობიარე ქალისათვის. ინსტიტუტის მთავრობა იძულებული იყო ამ ბოლო დროს, როგორც იყო, მიეღო სულ 45 მშობიარე, თუმცა დიდი ვიწროობა საავადმყოფოში, რის გამოც ბევრს გაჭირვებულ მშობიარეს უარს ეუბნებიან.

◆ 16 თებერვალს ოლქის სასამართლოს მეორე განყოფილებაში დანიშნულია გასარჩევად მოქალაქის განჯუმოვის საქმე, რომელსაც ბრალდება **ხელით შეურაცხება** საბჭოს ხმოსნის წურინოვისა.

◆ ტფილისის საინჟინერო დისტანციის თხოვნის თანახმად, ქალაქის გამგეობამ 14 თებერვალს გარდასწყვიტა მიეცეს იჯარით უვაჭროდ ტფილისის მოქალაქეს გურგენბეკოვს ოზუროვისა და ავლაბრის პირველ ქუჩაზე არხის გაკეთების საქმე, რისთვისაც საინჟინერო დისტანციამ უნდა გაიღოს 3695 მანეთი.

◆ ყარაიაზის პოლიციის ნაწილის სოფ. შიხინის მცხოვრებს, მეცხვარეს ალასკარ-გაჯიმურად-ოღლის იანვრის ბოლო რიცხვებში ღამით თავს დასცემია ცხვრის მოსატაცებლად სამი ბოროტ-განმზრახველი; მეცხვარე თოფის სროლით გამოსდევნებია მათ და წარეკილი ცხვარი დაუტოვებინებია. ქურდები აღმოჩენილან აღნიშ-

-ნულ სოფლის მცხოვრებნი ასლან აბდულა-ოღლი და ისმაილ-მიხიმ-ოღლი. მესამე ვერ მიუგნიათ.

◆ ტფილისის მაზრის, სოფელ ყარაჯალინის ახლო, მტკვრის პირად უნახავთ გამორიყული დამხრჩვალის კაცის გვამი; როგორც გარეგნობით ეტყობა, დამხრჩვალი ტომით ქართველი უნდა იყოს; ჯერ ვერ გამოურკვევიათ დამხრჩვალის ვინაობა. გამოძიება სწარმოებს.

◆ ტფილისის გამგეობის განკარგულებით, სასამართლოს პასუხის გებაში იქმნება მიცემული ნაძალადევში მცხოვრები გიორგი ცეცხალაძე, რომელსაც ნება დაურთველად ხორცით სავაჭრო დუქანი გაუხსნია.

შემახის ამბები

შემახიიდან დაბრუნებული მოსკოვის საფაბრიკო ფირმების წარმომადგენელნი ამბობენ, რომ იმათი კლიენტები მეტად სამწუხარო მდგომარეობაში არიან. რაც საქონელი ჰქონდათ, ნახევარი ცეცხლმა შთანთქა და ნახევარიც ნანგრევებ ქვეშ მოჰყოლია, ასე რომ გასასყიდად არ გამოდგება, რადგანაც ყოვლად უვარგისია; თითქმის მთელი ქონება დაღუპვიათ, ბევრს თამასუქები და ნაღდი ფული დასწვია. ვისაც განყოფილება ჰქონდა გოგჩაიში და აღდაშში, იქ მიდიან დასასახლებლად, დანარჩენთ თავიანთი ოჯახობა დაბინავეს ბაღებში საზაფხულო სადგომებში და თითონ კი დარჩნენ ქალაქში და ღამეს ათევენ ბაზარში ცის ქვეშ გადარჩენი საქონლის სადარაჯოდ, რომ არავინ არ მოჰპაროს.

მიხეილის ბაღში დადგეს ორი დანიური სახლი 60—70 ავადმყოფისთვის; ამ ბარაკებს რეცხავენ და ასუფთავებენ, რომ აქ გადმოიყვანონ მეიდნის ბარაკებიდან ავადმყოფები, რიცხვით 27. ეს მცირე რიცხვი იმითი აიხსნება, რომ ბევრს არ უნდა ბარაკებში დაწოლა და არჩევენ კერძო სახლს. მაგრამ ვინც კი ბარაკებში შევიდა, იმათ იქიდან გამოსვლა აღარ უნდათ, რადგანაც მშვენივრად უვლიან და ინახავენ იმათ ექიმები და მოწყალების დანი.

უბედურების პირველ დღეებში საშინელი სუნი იდგა ქალაქში ადამიანთა გვამების და პირუტყვთა მძორებისაგან. 7 თებერვალს თოვლი მოვიდა და საშინელი ტალახი გაჩნდა; ამასთანავე ამავე დღეებში საპიორებმა და ადგილობრივმა მცხოვრებლებმა 1000-ზე მეტი გვამი ამოთხარეს და აუარებელი პირუტყვთა მძოვრები, რომლებიც მიწაში ჩაფლეს. 8 თებერვლიდან სიცივეები დაიწყო, 12 თებერვალს ჰყინავდა და სუნი თან-დათან შესუსტდა. ქვემო შემახაში აქამდის ბაზარი გაუწმენდელია.

რუსეთის ქრონიკა

∝ „ცერკოვნი. ვედომოსტ“-ებში ვკითხულობთ: „კიევისა და სხვა გაზეთებში დაბეჭდილია, ვითომც უწმინდესს სინოდს ნება დაერთოს მალორუსიულ სახარების გამოცემისა. ნამდვილად კი ამ უკანასკნელ წლებში ამგვარი ნებართვა არავის უთხოვნია; წინათ მოსულია სინოდს ამგვარი თხოვნები, მაგრამ ყოველთვის უარი მიუღიათ მთხოვნელებს. ზემოხსენებული გარემოება იბეჭდება უწმინდესის სინოდის ობერ-პროკურორის განკარგულებით“.

∝ გაზ. „კიევლიანინ“-ში დაბეჭდილია კიევის უნივერსიტეტის რექტორის შემდეგი განცხადება (განცხადება გაკრულა თვით უნივერსიტეტში): „კიევის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის განკარგულებით წმ. ვლადიმირის უნივერსიტეტში შეწყვეტილია სწავლა ახალ განკარგულებამდე და სტუდენტებს აღკრძალული აქვთ იარონ უნივერსიტეტში. საქმის გამო მოლაპარაკება უნივერსიტეტის მთავრობასთან შეიძლება მხოლოდ წერილობით ფოსტის საშუალებით. 5 თებერვალი, 1902 წ.“.

∝ ამ დღეებში მთავრობას წარუდგინეს პეტერბურგისა ჯ მოსკოვის ელექტრონის რკინის გზით შეერთების პროექტი. ამ პროექტის წარმდგენელთ ძირითადი თანხა აქვთ 42 მილიონი დოლარი („პ. ლ“).

თეატრი

„მეფე ლირი“. აუცილებლად საჭიროა, რომ დრამატიულ საზოგადოების კომიტეტმა ჩვენის თეატრის გარდერობი განაახლოს, თორემ ევროპიულ პიესების წარმოდგენა ჩვენს სცენაზე უფრო და უფრო კარიკატურულ ხასიათს მიიღებს. გარდა ამისა, ყურადღება უნდა მიექცეს არსებულ გარდერობის შესაფერ განაწილებასაც—ყოვლად მოუხერხებელია, რომ მეფეს ან მთავარს უფრო ცუდად ეცვას, ვიდრე მათ სარდლებსა და მეომრებს.

ყიფიანის ქება ლირის როლში ბევრი გაგვეგონა და ამიტომ გუშინ-წინდელ წარმოდგენიდან ბევრს მოველოდით, მაგრამ მოლოდინი არ გაგვიმართლდა. გარდა ორის სცენისა, ყიფიანი სუსტი იყო—მის თამაშს ძალა აკლდა, იგი ვერ იპყრობდა მაყურებლის მთელ ყურადღებას. ისეთი შესანიშნავი ადგილი, როგორიც არის სცენა ტყეში, სადაც გაბოროტებული უბედური მეფე ქარიშხალს ეჯიბრება აღშფოთება-აღელვებაში, სრულებით დაიკარგა მაყურებელთათვის. კარგად მოუვიდა ყიფიანს ის სცენა, სადაც ლირი მიხვდება გონერილას უგულობას და აღშფოთებული სწყევლის მას, თუმცა აქაც არ გვესმოდა მკაფიოდ ის გულის გამგმირავი სიტყვები, რომელსაც გამწარებული მამა პირში ესვრის უმადურ ქალს.

სიუკეთესოდ შეასრულა მსახიობმა ის ადგილი, რომელშიაც კორდელიას სახლში მიყვანილი ლირი გონს მოდის და თავის ქალს ცნობილობს,—აქ ყიფიანის თამაშს ნამდვილი გრძნობა ეტყობოდა. აქტივში ჩაეწერება ჩვენ მსახიობს კარგი გრიმი და შესაფერი ტანისამოსი.

ყველაზე მეტი ყურადღება საზოგადოებისა ხუთშაბათის წარმოდგენაზე სვიმონიძემ და ივანიძემ მიიპყრეს. სვიმონიძემ ძალდაუტანებლის თამაშით დაგვიხატა გლოსტერის უკანონო შვილი ედმუნდი, ეს იგოსებური ტიპი. რომ სიკვდილის სცენა არა, სვიმონიძე ძალიან კარგი ედმუნდი იქნებოდა.

ივანიძე (ედგარი) ლექსის კარგი მკითხველია (ცოტას ჩქარობს მხოლოდ), მის ხმას ადვილად შეუძლია გამოხატოს მრავალნაირი გრძნობა და ხუთშაბათს მას ყველა სიამოვნებით უგდებდა ყურს. საუცხოვოდ შეასრულა მსახიობმა ძალად გიჟის როლი. საჭიროა მეტი ყურადღება მიაქციოს ივანიძემ გარეგან ფორმას, მანერებს

ბ. აწყურელი კარგი ხუმარა იქნებოდა, რომ როლი სცოდნოდა,

გედევანოვს თავის ნიჭის შესაფერი როლი არა ჰქონდა, მაგრამ იმდენი სცდილა, რომ კეთილშობილ კენტის პიროვნება საკმაოდ ცოცხლად წარმოგვიდგინა. გამყრელიძე კარგი გლოსტერი იყო—მის თამაშს ღირსება და დარბაისლობა ეტყობოდა. კარგარელმა კარგად შეასრულა უმადურ გონერილას არა ძნელი როლი.

ლეჟავა კორდელიას როლს ასრულებდა. დაწყებით მშვენივრად დაიწყო ახალგაზრდა მსახიობმა: პირველ სიტყვებისათანავე ლეჟავას ლაპარაკის კილო და სახის გამომეტყველება კორდელიას ბუნების გამომხატველი იყო: მდიდარი გრძნობა და თანდაყოლილი მორცხვობა-თავმდაბლობა, რომელიც მას ნებას არ აძლევს გამოამჟღავნოს ეს თავის სიმდიდრე; ამისთანა ადამიანი იშვიათად არის ხოლმე ბედნიერი. მაგრამ ბოლომდე ვერ გაატანა მსახიობმა: ის სცენა, სადაც კორდელია დებს ეთხოვება და მათ მამას აბარებს, ჩვენის აზრით, ვერ იყო შესაფერისად წარმოდგენილი: ლეჟავას კორდელიას სახეზე ამ დროს დამცინავი ღიმილი თამაშობდა და კილოც ეგეთივე ჰქონდა; მართალია, კორდელია ამ დროს თავის დებს იმას ეუბნებოდა, რომ იგი მათ იცნობს და არ სჯერა მათი მჭევრმეტყველი სიტყვები მამისადმი სიყვარულის შესახებ, მაგრამ ეს თქმა დაცინვით როდი უნდა იყოს შეზავებული, არამედ ღრმა მწუხარებით.

დრამა ისე შეამოკლეს ჩვენს სცენაზე, რომ თუ არ მცოდნელი, ბევრი ვერ მიხვდებოდა. საზოგადოთ, შექსპირის შემოკლება შესაწყნარებელი არ არის, მაგრამ თუ სცენის სიღარიბე ან ტეხნიკა თხოულობს ამ შემოკლებას, ისე მაინც უნდა შემოკლდეს, რომ შინაარსის მომდინარეობა არა სწყდებოდეს.

სასამართლო

წერილი ქუთაისიდან

11 თებერვალი *)

ელოშვილი. სახლში შემოვარდა 2 ავაზაკი; მომთხოვეს ფული. ჯერ მივეცი 663 მანეთი და შემდეგ კიდევ 365 მან. ვერავის ვერ ვიცნობდი, მაგრამ დამახსოვდა და გამომძიებელთან მივუთითე კიდეც ალ. ლორთქიფანიძეზე და იგ. აგიაშვილზე. პოლიციის ბოქაულმა მითხრა, რომ ჩემი გამცარცველი ავაზაკები ყოფილან ალ. ლორთქიფანიძე და იგ. აგიაშვილი, მაგრამ აღარ მახსოვს, როდის მითხრა: გამომძიებლის მიერ ჩვენების ჩამორთმევამდე, თუ შემდეგ ამისა. დაჭრილი ვიყავ, მაგრამ არ ვიცი, ვინ დამჭრა.

რუბენ ელაშვილი. კარი შემოამტვრიეს და შევიდნენ ისხაკა ელაშვილის ოთახში. მერე შემოვიდნენ ჩემს ოთახში, გასტეხეს ზანდუკი და წაიღეს 90 მ. ნივთები: ქამარი, ვერცხლის ჭიქა და სხვა. მე დავიხსომე მათი სახე და შემიძლია ვიცნო. აი ესენი იყვნენ (აჩვენებს აგიაშვილზე და ლორთქიფანიძეზე); ორი გარეთ იდგა; ძველი ჭრილობა არც ერთისთვის არ შემიმჩნევია, მხოლოდ ერთს, რომელიც ამას გავდა (უჩვენებს ლორთქიფანიძეზე) ნაყვავილევი აჩნდა.*) გარეთ თოფს ისროდნენ და არ ვიცი ავაზაკები ისროდნენ, თუ არა, ან რისთვის ისროდნენ.

მარიამ ელაშვილი. როცა ჩემი შვილის ოთახში ასტუდა ხმაურობა, მე შევარდი იმ ოთახში. 2 ავაზაკი ჩემს შვილს პალტოს სთხოვდნენ. მე არ ვიცი, რა იყო პალტოში. ამას გარდა გასტეხეს ზანდუკი და წაიღეს ყველაფერი. მე მოგეხვიე ჩემს შვილს და გთხოვე ავაზაკებს, ნუ მოჰკლავთ მეთქი. ავაზაკები უნდა ყოფილიყვნენ ესენი (აჩვენებს ლორთქიფანიძეზე და აგიაშვილზე). ერთმა მათგანმა, მგონია ამან (აჩვენებს აგიაშვილზე) თოფის კონდახი დამკრა და ძირს დამცა. ორი ავაზაკი გარედ იდგა.

ერთი მსაჯული. საიდან იცით, რომ გარეთ იყვნენ ორი?

მოწმე. მე არ მინახავს, მაგრამ მესმოდა თოფის სროლა და მერე მითხრეს, ორი გარეთ იდგნენო.

რახილ ელაშვილი (ცოლი რუბენისა). მე მეძინა. 2 ავაზაკი შეუცვივდა ოთახში ისხაკ ელაშვილს, გაცარცვეს და სცემეს კიდეც თოფის კონდახებით.

ბრალმდ. გარეთაც იყვნენ ავაზაკები?

რახილ. ამბობდნენ, ორი იყოვო.

ბრალმდ. თოფს ისროდნენ?

რახილ. ისროდნენ.

ბრალმდ. შეგიძლიათ იცნოთ სახლში მყოფი ავაზაკები?

რახილ. მგონია, ერთი ეს იყო (აჩვენებს აგიაშვილზე).

დამცველი რ. რ. რაუბახი. ნაყვავილევი აჩნდა რომელსამე ავაზაკს?

რახილ. არ შემიმჩნევია; ხოლო მეორე ავაზაკი ამას ჰგავდა (აჩვენებს ლორთქიფანიძეზე).

სანაძე. მე მამასახლისად ვიყავ დიდ-ჯიხაიში. მოვიდა ანდრია ლეჟავა და მითხრა: დუქანში საეჭვო კაცები არიანო. მე მივედი. უცნობებმა ღვინო მომაწოდეს. გაათავეს საუზმე. სამი მათგანი ჩაჯდა დაბარებულ ეტლში. მერე მეოთხეც ჩაჯდა. მერე მითხრეს: ერთი მათგანი აგიაშვილია და ერთიც გალდერიან წულუკიძეო. წინად მე გათ ვერ ვიცნობდი.

თავმჯდომარე. გალ. წულუკიძე თავის ნებით ჩაჯდა, თუ ჩასვეს ძალათი?

მოწმე სანაძე. ცოტა ყოყმანის შემდეგ დათანხმდა. მე მანამდე ვერავის ვიცნობდი და არც ეხლა შემიძლიან ვიცნო.

ქაიხოსრო ლეჟავა. მე ვიყავი ანდ. ლეჟავას დუქანში. იქ მოვიდა ოთხი კაცი. ერთი მათგანი იყო დუდუჩავა, მეორე გალ. წულუკიძე. ჩასხდნენ ფაიტონში სამი. მედუქნეს გაუსწორდა დუდუჩავა. გალ. წულუკიძე უფრო ადრე წავიდა. იმას, მგონია, არაფრათ ეჭაშნიკებოდა ასეთი საზოგადოება. მას მოეწია ფაეტონით დანარჩენი სამი კაცი და აიძულეს მათთან წასვლა. სთქვეს, კულაშში მივდივართო. დუდუჩავა მე გავიცანი 13 წლის წინათ ბათუმში, სადაც მას დუქანი ჰქონდა. ის იყო მაშინ უწვერ-ულვაშო. მერე აღარ მინახავს.

იაკობ ლეჟავა. 3 საათზე, 4 დეკემბერს, ოთხი კაცი მოვიდა ჩემი ძმის, ქაიხოსროს, დუქანში; ერთი მათგანი უფრო ადრე მოვიდა და დაიკვეთა ფაიტონი. ძმამ მიბრძანა ფაიტონის დამზადება. სამი ჩასხდა ფაიტონში და მიბრძანეს სამტრედიისკენ წასვლა. გალ. წულუკიძე უფრო ადრე წავიდა, მაგრამ ისიც ჩაისვეს, როგორც იქმნა. მიბრძანეს: არ მოიხედოვო. მე მაინც ერთი შეხედვა მოვასწარი. დავიხსომე სახე. ერთს კისერზე ძველი ჭრილობა შევამჩნიე. სტუსაღოში ვიცანი დუდუჩავა და ი. აგიაშვილი, ხოლო მესამე ვერ ვიცანი; დუდუჩავას სახე დამახსოვდა ორჯელ ნახვით: ერთი ნახვა იყო ფაიტონში რომ ჯდებოდა და მეორე, როცა ბაზარზე გაატარეს დაჭერილი.—მოწმე სასამართლოში მიუთითებს დუდუჩავაზე, აგიაშვილზე და წულუკიძეზე.

დარსაველიძე. ამ საქმის თაობაზე არა ვიცირა. ჩემს სახარაზოში შემოვიდა ოთხი კაცი; სამი ნაბადში იყო გახვეული და არ ვიცი, ჰქონდათ თუ არა იარაღი. ერთს უნაბდოს კი არაფერი იარაღი არ ჰქონია. წინათ ვერავის ვიცნობდი. იქნება ვიცნო (აჩვენებს ლორთქიფანიძეზე).

მოსეშვილი. ელაშვილის გაძარცვაზე არა ვიცი-რა. მე ვიყავ კნ. რუსკანა წულუკიძის სახლში და მისმა ქალიშვილმა ნინომ მითხრა, დედამ მომცა ერთი ფუთა ნივთები დასამალავადაო. დღეს, როცა პოლიცია დაგვესხა თავსაო, მერე ამბობდა სტუმრებმა მომცესო. გაჩხრეკის დროს ნივთები (დანები, კოვზები და სხვა) ნახეს სასიმინდეში. ნინო ამბობდა, სამი სტუმარი მოდიოდა, მაგრამ სახელები არ ვიციო.

დამცველი ქიქოძე. როგორი კაცი იყო ილიკო წულუკიძე?

მოსეშვილი. ჩინებული, შრომის მოყვარე და პატიოსანი. ამ ამბავის ნახევარის წლის წინათ მას მამა მოუკვდა და მთელი ოჯახი მგლოვიარეთ იყო.

ქიქოძე. რა განსხვავებაა ილიკოსა და გალდერიანეს სამოსახლოებს შორის.

მოსეშვილი. მათ შორის ჩადის საზოგადო გზა, რომლისაგანაც ილიკოს სახლი 40 საჟენზეა და გალდერიანის სახლი 6 საჟენზე. ილიკოს სახლში ორ-სართულიანია და სხვაც ბევრია შენობები ეზოში; გალდერიანეს სახლი ერთ სართულიანია და პატარა.

ქიქოძე. რა დამოკიდებულება ჰქონდათ გალდერიანსა და ილიკოს ერთმანერთ შორის?

მოსეშვილი. მეგობრულ-ნათესავური, ხშირათ დაიარებოდნენ ერთმანეთისას.

თავმჯდომარე. ხომ არ მიჰქონდათ ხოლმე მათ ერთმანეთისაგან ერთმანეთის დაუკითხავად რამე ნივთები?

მოსეშვილი. დიახ, მიჰქონდათ.

თავმჯდომარე. საიდან იცით?

მოსეშვილი. მე დავდივარ ხშირათ ილიკოსას, როცა-კი სახლში ვარ ხოლმე. ისე ჭიათურაში ვმუშაობ და თვეში ერთხელ მოვდივარ შინ.

ბრალმდებული. რა დამოკიდებულება გაქვსთ ილიკოსთან, რა თქვენი ამხანაგია?

მოსეშვილი. მე მათი თავდახსნილი გლეხი ვარ. ჩემი ადგილები აკრავს მათს სამოსახლოებს. მუშაობის შემდეგ ხშირათ მივდიოდი მათსას, ვმუსაიფობდი და დამეც-კი იქა ვრჩებოდი.

ბრალმდებელი. ილიკო ხშირათ დადიოდა ქუთაისში?

მოსეშვილი. თვეში ერთხელ, ძმის მაგივრათ პენსიის მისაღებად. გალ. ჭიათურაში მუშაობდა.

ბრალმდებელი. კნ. რუსკანა წულუკიძის გერს აქვს დუქანი, სადაც იკრიბებოდნენ სხვა-და სხვა პირები და მათ შორის ილიკოც?

მოსეშვილი. მაშინ ჰქონდა. არ ვიცი, ილიკო დადიოდა თუ არა.

ვექ. ქიქოძე სთხოვს სასამართლოს ახსნან ილიკო წულუკიძეს ბორკილები, რადგან ეს ეწინააღმდეგება კანონებს.—ბრალმდებელმა პროტესტი გამოაცხადა. სასამართლომ დაადგინა: თუმცა კანონებში აგრე არი, მაგრამ მთავარ-მართებლის განკარგულებას სასამართლო ვერ აღუდგება წინ, რადგან მას ეს უფლება მინდობილი აქვს მისი უდიდებულესობისაგან და ამიტომ სასამართლო ვექილის თხოვნას არ აკმაყოფილებს.

ბოქაული იაშჩენკო. მითხრეს, ისხაკა ელაშვილი გაცარცვესო. და დავათვალიერე მისი სახლი. დარბეული იყო იქაურობა. გავემგზავრე სოფ. ნამაშევში. კუხის მამასახლისმა შეცდომით მიგვიყვანა ილიკო წულ. სახლს და ამ დროს გალ. სახლიდან გამოვარდნენ ავაზაკები. მაინც დავიჭირეთ დუდუჩავა. კნ. რუსკანამ სთქვა, ილიკომ მოუტანა გალდერიანს თოფიო.—დუდუჩავა გამოტყდა, რომ ჩემთან იყვნენ ელაშვილის გაცარცვის დროს ალ. ლორთქიფანიძე, აგიაშვილი და გალ. წულუკიძეო.

დუდუჩავა. მე იაშჩენკოსათვის ჩვენება არ მიმიცია და მაგას ვერ ვეტყოდი.

ბუზუაძე. 5 დეკემბერს იაშჩენკოსა და ცაგარეიშვილთან ერთათ შემოვერტყით გარს ილიკოს სახლს, ამ დროს გამოვარდა გალ. სახლიდან ერთი ავაზაკი, ვესროლეთ თოფი და დავსწვდით. დავიჭირეთ, არა უთქვამს-რა, რადგან ცნობაზე არ იყო.—ილიკოს ვერ ვიცნობ. კაკაბაძე ემოწმება გაჩხრეკის შესახებ კნ. რუსკანას სახლში სხვა მოწმეებს.

დამცველი ქიქოძე. თუ იცით, როგორი კაცი იყო ილიკო წულუკიძე?

კაკაბაძე. პატიოსანი, შრომის მოყვარე; თავის დღეში ცუდი არაფერი შემჩნევია და ამასთანავე ჩინებული ოჯახის მოყვარული და მომვლელი.—გალდერიანეც პატიოსნათ ითვლებოდა და ოჯახიც პატიოსანია მისი.

---

*) იხ. „ცნ. ფურცელი“ № 1727.

*) არც ერთს ბრალდებულს ნაყვავილევი არ აჩნია.

ეხაძე.—გაჩხრეკის შემდეგ მივედი კნეინა რუსკანას სახლში. ნივთები მამასახლისს ეჭირა ხელში. სად ნახეს, არ ვიცი.

ალექსი წულუკიძე. ელაშვილის გაცარცვის თაობაზე არაფერი არ ვიცი.—მე ნათესავი ვარ ბრალდებულ წულუკიძეებისა. მე მათ სახლზე 200 საჟენის მანძილზე ვცხოვრობ.

ფონ. რაუბახი. რა გვარისაა ვალერიანის დედა რუსკანა?

ალ. წულუკ. მიქელაძის ასულია., ილიკოს დედა-კი—აგიაშვილისა.

რაუბახ. რა ნათესაობაა ილიკოს დედასა და ბრალდებულ აგიაშვილის შორის?

ალ. წულუკ. არაფერი.

დამცველი ფონ-რაუბახი თხოულობს საბრალდებელო აქტის შესწორებას, სადაც კნ. რუსკანა წულუკიძისა აღიარებულია აგიაშვილის ასულად და ბრალდებაც ამ შეცდომაზე აფუძნებს, რომ კნ. რუსკანა იცნობდა ივ. აგიაშვილსაო.—თავმჯდომარე არ სთვლის საჭიროთ საბრალდებელო აქტის შესწორებას და სხდომის ოქმში შეაქვთ, რომ საბრალდებულო აქტში შეცდომა არისო.

ფალავა (ბოქაული). მე ბევრჯერ მივედი ვალ. წულუკიძის სახლში, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ ვნახე. შევეხვეწე ალექსი წულუკიძეს, როცა იქნეს, შემატყობინე და ჩააგონე კიდეც თვითონ გამოცხადდეს მეთქი. მართლაც; ვალერიანი თვითონ გამოცხადდა. გამოვკითხე და მითხრა, თოფი ილიკოსაგან წავიღეო. ილიკოს შესახებ ცუდი არაფერი გამიგონია.—ამას გარდა ვალერიანმა მითხრა, თოფი ჩემდა დაუკითხავად წაიღო ლორთქიფანიძემაო.

ტერეზია წულუკიძისა. (დედა ილიკოსი).—ელაშვილის გაქურდვაზე არა ვიცი-რა.—

დამცვ. ქიქოძე. სანამ ელაშვილს გაქურდავდნენ, თქვენგან წაიღო ვინმემ თოფი?

ტერეზია. ვალიკომ წაიღო მაგ შემთხვევამდის ერთი კვირის წინეთ.

ქიქოძე. სად იყო მაშინ ილიკო, როცა გალიკომ თოფი წაიღო?

ტერეზია. ვალიკომ წაიღო მაგ შემთხვევამდის ერთი კვირის წინათ.

ქიქოძე. სად იყო მაშინ ილიკო, როცა ვალიკომ თოფი წაიღო?

ტერეზია. გუბში იყო, მუშებს ეძებდა.

ვექ. ფალავა. რა გითხრათ ვალიკომ, როცა თოფი მიჰქონდა?

ტერეზია. არაფერი; არც არაფერი მე მკითხავს, რადგან თოფები ხშირად მიჰქონდა. სამი თოფი ეკიდა იქ; მე ვსთხოვე მხოლოდ ორ-ლულიან სანადირო თოფს ნუ წაიღებ-მეთქი.

ბრალმდებელი. ის თოფი, რომელიც ვალიკომ წაიღო, ხომ საგვარეულო თოფს (Фомильное ружье) შეადგენდა, იმ თოფის წაღებაც უკითხავად შეეძლო ვალიკოს?

ტერეზია. რადგან დროებით მიჰქონდა, ამიტომ არც ვუშლიდით. სულაც არ გამკვირვებია, რომ ის ერთი კვირა არ აბრუნებდა ამ თოფს, რადგან წინათაც უფრო დიდი ხნით ჰქონია და დაუბრუნებია ხოლმე.

აკ. წულუკიძე იმეორებს თოფის წაღების ამბავს.

ბრალმდებელი. როდის გაიგეთ, ვალიკომ თოფი წაიღო, გაჩხრეკის შემდეგ თუ წინად?

აკაკი წულუკიძე. მე თვითონ ვიყავი, როცა მან წაიღო იგი.

ბრალმდებელი. რომელი თოფი წაიღო მაშინ ვალიკომ?

აკაკი წულ. ბერდანკა.

თავმჯდომარე. იცით-კი, რა განსხვავებაა ბერდანკასა და მაგაზინკას შორის?

აკ. წულ. არ ვიცი.

თავმჯდომარე. ყოველ ჩქარ-მსროლელს თოფს ბერდანკას ეძახით?

აკ. წულ დიახ, იმ თოფს, რომელიც გატენილი პატრონებით იტენება.

თავმჯდომარე. უკანასკნელი სისტემის თოფი გინახავთ?

აკ. წულ. არა.

(თავმჯდომარის ბრძანებისამებრ გამოართმევენ ჯარის კაცს უკანასკნელი სისტემის თოფს და აჩვენებენ მოწმეს).

თავმჯდომარე. ეს რა თოფია?

აკ. წულ. ბერდანკა.

ბრალმდებელი. ის თოფი, რომელიც ვალიკომ წაიღო დაუკითხავათ, რითი იყო შესანიშნავი?

აკაკი წულ. არ ვიცი, არაფრით. ის იყო, რომ თავ. მინგრელსკის ნაჩუქარი იყო.

გამოუძახეს მოწმე ქალს არაბიძისას.

დამცვ. ფონ-რაუბახ. დიდი ხანია იცნობთ ლორთქიფანიძეს?

არაბიძისა. სრულიად არ ვიცნობდი.

რაუბახ. ის ხომ თქვენსას დაიჭირეს ტფილისში.

არაბიძისა. იმ კაცს, რომელთანაც ერთად მეც დამიჭირეს, მე ვიცნობდი როგორც თეოფანე აბაშიძეს და არა როგორც ლორთქიფანიძეს.

რაუბახ. რამდენი ხანი ცხოვრობდა ის კაცი თქვენთან?

არაბიძისა. მე მასთან არ ვცხოვრობდი. გავიცანი ერთი წლის წინათ დაჭერამდის. როცა ოთახში წამიყვანა, დაგვიჭირეს კიდეც.

რაუბახ. იცნობთ დაროსა და კონსტ. იაშვილს?

არაბიძისა. ვიცნობ.

რაუბახ. ისინი იცნობენ ალ. ლორთქიფანიძეს?

არაბიძისა. არა.

თავმჯდომარე. არ გაგიგიათ, რომ ის დაჭერილი ლორთქიფანიძე იყო?

არაბიძისა. მერე მითხრეს, დაჭერის შემდეგ; აი ეს არის ის თეოფანე აბაშიძე, (აჩვენებს ლორთქიფანიძეზე).

თავმჯდომარე. ხშირად ხვდებოდით ერთმანერთს?

არაბიძისა. ხანდისხან ვხედავდით ხოლმე, მაგრამ ვშორდებოდით ერთმანერთს.

თავმჯდომარე. ოთახში მაშინ პირველად იყავით მასთან?

არაბიძისა. იმ ოთახში პირველად ვიყავი, ხოლო სხვა ოთახებშიაც ვიყავი სამჯერ.

ალ. ლორთქიფანიძე. მე დავდიოდი იაშვილის სახლში?

არაბიძისა. არ ვიცი; არა, არ დადიოდა.

მოწამე კონ. იაშვილი.

რაუბახ. იცნობთ ალ. ლორთქიფანიძეს?

იაშვილი. ვცნობილობ სახეზე; ტფილისში მინახავს.

რაუბახ. თქვენთან ცხოვრობდა?

იაშვილი. არა.

რაუბახ. ანიჩკა არაბიძისა ცხოვრობდა თქვენთან?

იაშვილი. დიახ.

რაუბახ. ლორთქიფანიძე დადიოდა მასთან?

იაშვილი. არ ვიცი.

მოწამე დარო იაშვილისა.

რაუბახ. იცნობთ ალ. ლორთქიფანიძეს?

დარო იაშვილისა. ამ დღეებში გავიგე მისი სახელი და გვარი.

რაუბახ. სახეზე ვერ იცნობთ?

დარო. ქუჩაში შეხვდა ა. არაბიძისა ერთ ყმაწვილ კაცს და როცა მოშორდა, მითხრა, ეს აბაშიძე არისო.

რაუბახ. დადიოდა არაბიძესთან?

დარო. არ ვიცი *).

ბოქაულის თანაშემწე ჩაჩავა. ქუთაისის ახლოს ჭომაში კ. აბულაშის სახლს შემოვარტყი დარაჯები, რადგან ეჭვი მქონდა, რომ იქ ავაზაკები იყვნენ. გამოვარდა იქიდან ორი ავაზაკი. ერთი გაიქცა. ერთიც, ივ. აგიაშვილი, დავჭერით და დავიჭირეთ. მან გვითხრა, რომ მეორე იყო ალ. ლორთქიფანიძეო.

იგივე დაამოწმა აბულაძისამ.

ივ. აგიაშვილი. ტყუილია. მე გონს მოვედი მხოლოდ გამომძიებელთან დ. ჩაჩავას როგორ მივცემდი ჩვენებას.

ჩაჩავა. რამდენიმე ხანს თავის გონზე იყო. მხოლოდ მერე დაჰკარგა ცნობიერება.

აგიაშვილი. მაშინ პოლიცმეისტერი თავს მადგა და ჩაჩავას რათ მივსცემდი ჩვენებას?

ჩაჩავა. პოლიცმეისტერი ნახევარი საათის უკან მოვიდა.

ივ. აგიაშვილი. რა გაეწყობა, რა-კი არ უნდა სთქვას სიმართლე!

ანასტასია აბულაძისა.—როცა დარაჯი შემოერტყა ჩვენს სახლს, აგიაშვილი და ლორთქიფანიძე გარედ გავარდნენ. პირველს ხელში თოფი ეჭირა, მეორეს—რევოლვერი და ხანჯალი. სხვა არა ვიცი-რა.

ილ. კბილაშვილი. 24 დეკ. 10 საათზე საღამოთი მივდიოდით ბაღდადის გზაზე. ქუთაისიდან 6 ვერსტის მანძილზე დაგვეცა თავს ოთხი ავაზაკი და გაგვცარცვეს. მე წამართვეს ქამარი და 5 მანეთი. ბნელოდა და ვერ ვიცანი, ვერც ახლა ვიცნობ, ვერც სხვებმა იცნეს.

დამცვ. რაუბახი. სთხოვს სასამართლოს მიაქციონ ყურადღება იმას, რომ ამ მოწმის სიტყვით სხვა გაძარცულებსაც ვერ უცვნიათ ავაზაკები.

სტეფანე წურწუმელია. დაგვეცა ბაღდადის გზაზე ოთხი ავაზაკი. მე წამართვეს 60 კ., ცხენი და უნაგირი. ერთმა ცხენს მიტაცა ხელი, მეორემ ერთ ხელში ხელი მომკიდა, მესამემ მეორე ხელში, მეოთხემ ზურგში ბერდანკა დამაჭირა, ჩამომათრიეს ცხენიდან და ტომარასავით, ან როგორც მელა გოჭს წაიღებს ხოლმე, ისე შემათრიეს ტყეში და გამცარცვეს. ჩაბალახებით ჰქონდათ შეხვეული თავ-პირი და ვერავინ ვიცანი და ვერც ახლა ვიცნობ

(გაგრძელება იქნება)

---

*) ეს ცნობები alilo-ს დასამტკიცებლად არიან საჭირო.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

14 თებერვალი

პეტერბურგი. საზამთრო სასახლის საკონცერტო დარბაზში ბუხარის ემირის პატივ-საცემლად სადილი იყო გამართული.

მოსკოვი. ფილარმონიულ საზოგადოების სამმართველოს დირექტორებმა შეჰკრიბეს 5,000 მანეთი საზოგადოების მუსიკალურ-დრამატიულ სასწავლებელში სტიპენდიების დასაარსებლად, რადგან ათი წელი შესრულდა, რაც დიდმა მთავრინამ ელისაბედ თეოდორეს ასულმა მიიღო საზოგადოება თავის მფარველობის ქვეშ; სამზრუნველო საბჭომ შეჰკრიბა სტიპენდიისათვის 2,500 მანეთი.

სამარა. სამარის გუბერნიის ზოგიერთ მაზრაში რამდენიმე შემთხვევა იყო ღრძილის ავადმყოფობისა.

მიტავა. აქ ინგლისისათვის ცხენებს ყიდულობენ. ცხენის დალალები ურიებია.

ხარკოვი. აქ მოვიდა საერო განათლების მინისტრის ამხანაგი. ზენგერი.

სიმბირსკი. ჰფიქრობენ, გუბერნიის საერობო საავადმყოფოსთან გახსნან საბებიო სკოლა მეორე ხარისხისა.

ვარშავა. კომისიამ, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ვარშავის საავადმყოფოს საქმეთა კითხვის განხილვა, მოხსენება ქალაქის საბჭოს წარუდგინა.

რიგა. ექსპონენტები, რომელთაც ჯილდოები მიუსაჯეს აქაურს გამოფენაზე, მიწვეულნი არიან ჯილდოების მისაღებად.

რიგა. გემი „გენერალ სკობელევი“ დაიღუპა; გემის მოსამსახურენი გადაარჩინა „ერმაკ“-მა.

პეტერბურგი. ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვაში მოსალოდნელი შემოსავალი და გასავალი აღემატება 28 მილიონ მანეთს; შემოსავალი გასავალს აღემატება 35,000 მანეთით.

სატარიფო კომიტეტმა დაადგინა სახაზო მატარებლის ტარიფების საქმე შეუცვლელად დასტოვოს 3,010 ვერსტის მანძილისათვის, ხოლო ამაზე მომეტებულის მანძილისათვის—შესცვალოს. ეს შეცვლა შემოღებულ იქნება ამ წლის 18 აპრილიდან.

14 თებერვალს ხელმწიფე-იმპერატორმა დაათვალიერა ნიკოლოზის საინჟენერო სასწავლებელი.

15 თებერვალი.

პეტერბურგი. უმაღლესის ბრძანებით, პეტერბურგის უნივერსიტეტში დიდი მთავრის ალექსანდრე მიხაილის ძის სახელობის მედალი უნდა დაარსდეს.—უმთავრეს საზომის და სასწორის პალატაში გამოიცა წესები სიმძიმის საწყაოს შემოწმებისათვის.

მოსკოვი. გოგოლის ძეგლის პროექტისათვის ჯილდო მიუსაჯეს სტროგანოვის სასწავლებლის სამ მასწავლებელს—სერგეევს, ალმაზოვს, შაპოჩკინს, ზაბელოს, ინჟენერ გორდენკოს და მხატვარს მერვუდს.—მოსკოვის სამხატვრო ამხანაგობამ სურათების კონკურსზე პირველი ჯილდო მიუსაჯა ხელოვან-მხატვარს—მესტროვს და მეორე ჯილდო—ხოლიავინს.

ოდესსა. რუსეთის ნავოსნობის საზოგადოებას გაგრის ნავთ-სადგურში, კავკასიაში, სამუდამო სააგენტოს დაარსება ჰსურს. აქ დიდძალი ხალხი და საქონელი მოვა, რადგან პრინც ოლდენბურგის სამაგალითო კლიმატიური სადგური არსდება.

პრეტორია. ბურებთან შეტაკების დროს, 2 აფიცერი და 20 ჯარის-კაცი იყო მოკლული, ხოლო დაჭრილი 5 აფიცერი და 33 ჯარის-კაცი.

ნიუ-იორკი. ბეჭდვითი სიტყვის ბანკეტზე, რომელიც პრინც ჰენრიხის პატივსაცემლად იყო გამართული, პრინცმა სთქვა: იმპერატორი თვალყურს ადევნებს ამერიკის წარმატებას და წინსვლასაო. პრინცის მოსვლა ამერიკაში იმის ნიშანიაო, რომ გერმანია მეგობრულად უყურებს ამერიკასო.

ბაქო. საბჭომ დაადგინა, 10,000 მან. გადაიდოს შემახაში დაზარალებულთ სასარგებლოდ. ღარიბ შემახელებს იაფ-ფასად დაუთმობენ სამოსახლო ადგილებს.

პეტერბურგი. საერო განათლების მინისტრის ბრძანებაა გამოცხადებული: „9 თებერვალს, დილით, მოსკოვის უნივერსიტეტის ეზოში თავი მოიყარეს სტუდენტებმა. მათ შორის ქალებიც იყვნენ და სხვა უმაღლეს სასწავლებლის სტუდენტებიც. რექტორმა მოიწვია ეს სტუნტები დარბაზში და აქ სთხოვა, დაიშალენით და შინ წადითო. 400 სტუდენტი დარბაზიდან აუდიტორიაში შევიდა, ჩაამტვრია აუდიტორიების და დარბაზის კარები. სტუდენტების ერთი ნაწილი მესამე სართულში ავიდა, სადაც პრივატ-დოცენტის ჩისტიაკოვის სადგომის კარები ჩაამტვრია. ჩისტიაკოვს ძალა დაატანა, სახლიდან წასულიყო. სტუდენტები შევიდნენ ჩისტიაკოვის სადგომში, შესჭამეს იქ, რაც რამ იყო საჭმელი, ჩაამტვრიეს კაფები და სხვა. ისინი ხმაურობდნენ და მღეროდნენ. ფანჯრებიდან, რომელნიც ნიკიტის ბულვარზე იყურებიან, წითელი დროშები გამოჰკიდეს. სტუდენტები აქედან ფეხს არ იცვლიდნენ,—ღამეს აქ გავათენებთო. უნივერსიტეტის მმართველობამ, რომ ვერა გააწყო რა, პოლიცია და ჯარი მოიწვია უნივერსიტეტში და დააჭერინა სტუდენტები. როცა სტუდენტები გაიყვანეს, უნივერსიტეტის ოთახებში და დარაბებში იპოვნეს ხვრებში გახვეული გირები, დანები, ჯოხები და რკინის მავთულები. ზოგიერთ სტუდენტებს ჯიბეში უნახეს დანები, კასტეტები და რევოლვერები. აქა-იქ ბარიკადებიც იყო გამართული. ყველა ამისათვის, მინისტრის ბრძანებით, იმ ყმაწვილკაცებს, რომელთაც სწავლის სურვილი არა აქვთ და რომელნიც უნივერსიტეტს და სხვის საკუთრებას პატივს არა სცემენ, უნივერსიტეტში ადგილი არ უნდა ჰქონდეთ—ისინი უნივერსიტეტიდან დათხოვნილ იქნებიან და აგრეთვე კანონის დარღვევისათვის სხვანაირადაც დასჯილნი იქნებიანო.

ხარკოვი. საერო განათლების მინისტრის თანაშემწე უნივერსიტეტში და ტეხნოლოგიურ ინსტიტუტში მოვიდა—აქ ლექციებს დაესწრო და სხვა-და-სხვა სამოსწავლო დაწესებულებანი დაათვალიერა.

ვაშინგტონი. დილით პრინცი ჰენრიხი მოვიდა. მაკ-კინლეის პანაშვიდს დაესწრო და ვაშინგტონის სასაფლაოს და ძველი სადგომი დაათვალიერა.

გამომც. და დრ. რედაქტორი **ალ. ჯაბადარი.**

მიიღება ხელის-მოწერა **1902** წლისათვის

„მოამბე-ცნობის ფურცელი“-ზე

სურათებიანი დამატებით

ყოველ თვიური ჟურნალი

„მოამბე“

(წელიწადი მეცხრე)

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:		საზღვარ-გარეთ:	
1 წლით . .	10 მ.	1 წლით . .	13 მ.
6 თვით . .	6 „	6 თვით . .	7 „
3 „ . . .	3 „	3 „ . .	5 „

ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი“

(წელიწადი მეშვიდე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:		საზღვარ-გარეთ:	
1 წლით . .	6 მ.	1 წლით . .	9 მ.
6 თვით . .	4 „	6 თვით . .	7 „
1 „ . .	75 კ.	1 „ . .	90 „

ვინც „მოამბე“-ს მთელის წლით გამოიწერს, „ცნობის ფურცელი“ სურათებიანი დამატებით უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატოს ერთი მან., რომელიც ხელის-მოწერისათანავე უნდა იქმნეს შემოტანილი. წლიური ფასის განაწილება სამივე გამოცემაზე: პირველად—6 მან. ქალაქ-გარედ მცხოვრებთათვის და 5 მან. ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მ, 1-ლ აგვისტომდე—2 მ.

განცხადების ფასი: 1-ლ გვერდზე სტრიქონი—10 კ., მე-4-ზე—5 კაპ. თუ განცხადება 3-ჯერზე მეტად დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ეღირება

რედაქცია და კონტორა იმყოფება ვანქის ეკლ. ქ., ტელეფონი № 372.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Моамбе“ „Цнобисъ-Пурцели.“